დეკანის ბრძანება №10/2014

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის სასტენდო მოხსენებების შესარჩევი კონკურსისა და შესარჩევი კომისიის შექმნის შესახებ

1. გამოცხადდეს კონკურსი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის მეექვსე ქართულ-გერმანულ სამეცნიერო სკოლასა და ვორკშოპში მონაწილეობის მისაღებად.

2. სასტენდო მოხსენებების შერჩევის კრიტერიუმებად განისაზღვროს:
- მოხსენების კვლევითი ხასიათი და კავშირი იულიხის სამეცნიერო ცენტრის თემატიკასთან;
- სასტენდო მოხსენების ვიზუალური მხარე და შედეგების ინგლისურ ენაზე წარმოჩენის შესაძლებლობა.

3. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა სტუდენტმა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში ამა წლის 16 ივნისის 18:00 საათამდე უნდა წარადგინოს:
- სასტენდო მოხსენების სათაური, ავტორ(ებ)ი, ანოტაცია (ინგლისურ ენაზე, მოცულობა არაუმეტეს ერთი გვერდისა);
- რეკომენდაცია (ქართულ ენაზე, წინასწარ განსაზღვრული ფორმის შესაბამისად);
- ამონაწერი სასწავლო ბარათიდან;
- CV (ინგლისურ ენაზე).

4. არასრულად ან დაგვიანებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ განიხილება.

5. განისაზღვროს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების შესარჩევი კომისიის შემდეგი შემადგენლობით:
- პროფესორი რამაზ ბოჭორიშვილი (კომისიის თავმჯდომარე)
- პროფესორი მერაბ ელიაშვილი
- პროფესორი ალექსანდრე შენგელაია
- პროფესორი შოთა სამსონია
- პროფესორი ალექსანდრე გამყრელიძე
- ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ ნიორაძე
- ასოცირებული პროფესორი ალექსანდრე თევზაძე
- აკადემიური დოქტორი მირიან ტაბიძე

6. კომისია უფლებამოსილია:
- საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს შეასაბამისი კვალიფიკაციის ექსპერტი;
- ჩაატაროს გასაუბრება სტუდენტთან ან მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილ მოხსენებასთან დაკავშირებით.

7. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე კომისიამ გადაწყვეტილება მიიღოს არაუგვიანეს 23.06.2014

რამაზ ბოჭორიშვილი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

27.05.2014